

**სს „სილქნეტის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით მიმართა სს „სილქნეტმა“ (კომისიაში რეგისტრაციის N7/3067-16, 31.03.2016), რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2007 წლის 6 ივლისის N384/5 და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 4 დეკემბრის №B15232042/9 გადაწყვეტილებების საფუძველზე სს „სილქნეტი“ ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიას, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2299 მჰც ÷ 2350 მჰც უსადენო რადიოდაშვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილოვანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის ქ.თბილისში;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 05.05.2016-მდე;

გ) უზრუნველყოს ლიცენზიის მფლობელმა 2299 მჰც ÷ 2350 მჰც რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად;

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე მიმართოს კომისიას განცხადებით ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

სს „სილქნეტის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიას მოქმედების ვადა გასდის 2016 წლის 5 მაისს. შესაბამისად, სს „სილქნეტის“ მიერ დაცულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე განცხადების კომისიაში წარმოდგენასთან დაკავშირებით.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

ა) ლიცენზიის მფლობელი იხდის მისი გაგრძელების მომენტისათვის „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 2 წლის განმავლობაში გამართულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

ბ) თუ იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის (2 წელი) განმავლობაში არ გამართულა 2-ზე მეტი აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის იმავე რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 3 წლის განმავლობაში გამართულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

გ) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 3 წლის განმავლობაში არ გამართულა 2-ზე მეტი აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულ ბოლო 3 (ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ბოლო 2) აუქციონზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს;

დ) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულია მხოლოდ 1 აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის ამ აუქციონზე დაფიქსირებულ საფასურს;

ე) თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონი არ გამართულა, ლიცენზიის მფლობელი ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად იხდის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გასამართი აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით;

ვ) ლიცენზიის მფლობელი იხდის ასევე სალიცენზიო მოსაკრებელს.

კომისია აღნიშნავს, რომ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სალიცენზიო მოსაკრებელი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიისათვის შეადგენს - 1,000.00 (ერთი ათას) ლარს. სს „სილქნეტის“ მიერ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია სალიცენზიო

მოსაკრებელი (1,000.00 ლარი) და კომისიაში წარმოდგენილია გადახდის დამადასტურებელი საბუთი კომისიაში რეგისტრაციის (N7/3067-16, 31.03.2016).

კომისია აღნიშნავს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია კომისიის ინფორმაციულ- ანალიტიკური დეპარტამენტის 2016 წლის 3 მაისის სამსახურებრივი ბარათი (№მ-6/4117-16), რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გაანგარიშების თაობაზე. ბარათს თან ერთვის დანართი №1 – „გეოგრაფიული კოეფიციენტების გაანგარიშება“ და დანართი №2 – „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის საფასურის ოდენობის განსაზღვრა“. სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, ზემოაღნიშნული ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დათვლა განხორციელდა „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის დ) ქვეპუნქტში აღნიშნული „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლი“ არის 2200-2400 მგჰც რადიოსიხშირული ზოლი, რომლის ფარგლებშიც კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემებით (2016 წლის 3 მაისის მდგომარეობით), ჩატარებულია მხოლოდ ერთი აუქციონი, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „დელტანეტი“ (კომისიის 2006 წლის 22 დეკემბრის N552/10 გადაწყვეტილება). კერძოდ, კომისიის 2006 წლის 22 დეკემბრის N552/10 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის თანახმად, 2284-2382 მჰც სიხშირულ ზოლში უსადენო რადიოდანშვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილიანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად საქართველოს ტერიტორიაზე (ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხონის რაიონებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა) გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „დელტანეტი“, რომელმაც დაადასტურა თანხმობა გადაეხადა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური 1,153,845.00 (ერთი მილიონ ას ორმოცდაცამეტი ათას რვაას ორმოცდახუთი) ლარი.

„რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების დანართი №7-ით გათვალისწინებული გეოგრაფიული კოეფიციენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიისა და 2014 წლის მოსახლეობის აღწერის ოფიციალურად გამოქვეყნებული მონაცემების შესაბამისად ([www.census.ge](http://www.census.ge)), ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხონის რაიონებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის გეოგრაფიული კოეფიციენტი შეადგენს 0.5415-ს.

„რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის I ეტაპის შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით 1 მგჰც-ის ექსტრაპოლირებული მნიშვნელობა არის შემდეგი:

$$I' = \frac{P'}{B' \times G'} = \frac{1,153,845 \text{ლ}}{98 \times 0.5415} = 21,743.17 \text{ლ}$$

კომისიის აპარატის ინფორმაციულ- ანალიტიკური დეპარტამენტის 2016 წლის 3 მაისის სამსახურებრივი ბარათის თანახმად, იმის გამო, რომ სათანადო სიხშირულ ზოლში ჩატარებულია მხოლოდ 1 აუქციონი, ზემოაღნიშნული დებულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გამოტოვებულია ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების საფასურის გამოთვლის II ეტაპი.

კომისიის აპარატის ინფორმაციულ- ანალიტიკური დეპარტამენტის 2016 წლის 3 მაისის სამსახურებრივი ბარათის (№მ-6/4117-16) დანართი №1-ის შესაბამისად, თბილისის (იგივე ზონა I) გეოგრაფიული კოეფიციენტი 2014 წლის აღწერის მონაცემების შესაბამისად შეადგენს 0.2985-ს.

„რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის III ეტაპის

შესაბამისად, თბილისის გეოგრაფიულ ზონაში ლიცენზიის გაგრძელების საფასური გამოითვლება ფორმულით:

$$P = B \times I \times G = B \times 21.743.17 \times 0.2985$$

ლიცენზია	პირი	ზონა	ზოლი	B - ზოლის სიგანე (მგჰც)	Gi	ფასი
F48	სილქნეტი	თბილისი	2299-2350	51	0.2985	331,007.21

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის 2016 წლის 3 მაისის სამსახურებრივი ბარათის (№შ-6/4117-16) თანახმად, რადიოსიხშირული სპექტრის სარგებლობის F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის სს „სილქნეტის“ მიერ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური შეადგენს 331, 007. 21 (სამას ოცდათერთმეტი ათას შვიდი და 21) ლარს.

კომისია აღნიშნავს, რომ 2016 წლის 4 მაისს გამართულ კომისიის სხდომას ესწრებოდა სს „სილქნეტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი. კომპანიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა დაადასტურა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 331,007.21 ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდაზე მზადყოფნა. მან ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან კომისიის მიერ განსაზღვრული ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური, რომლის ოდენობაც შეადგენს 331,007.21 (სამას ოცდათერთმეტი ათას შვიდი და 21) ლარს, არ იყო გათვალისწინებული სს „სილქნეტის“ ბიუჯეტში, სს „სილქნეტს“ ესაჭიროება დამატებითი ვადა, რათა უზრუნველყოს ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა კომისიის წინაშე დააყენა შუამდგომლობა სს „სილქნეტისთვის“ განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის ერთ წელზე განწილვადების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიამ იმსჯელა სს „სილქნეტის“ წარმომადგენლის მიერ დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, გაითვალისწინა სს „სილქნეტის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის ოდენობა, ასევე კომპანიის წარმომადგენლის მიერ კომისიის სხდომაზე დაფიქსირებული პოზიცია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) პუნქტის შესაბამისად, ნაწილობრივ დააკმაყოფილა სს „სილქნეტის“ წარმომადგენლის შუამდგომლობა და მიზანშეწონილად მიიჩნია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის განწილვადება 7 თვეზე, ყოველთვიური თანაბარი გადახდის ვალდებულებით.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „სილქნეტის“ წარმომადგენელმა კომისიის 2016 წლის 4 მაისის სხდომაზე დაადასტურა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 331,007.21 ლარის კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდაზე მზადყოფნა,

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-5 პუნქტის დ) ქვეპუნქტის, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტის დ) ქვეპუნქტის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის N6 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით ოთხი ხმა ერთის წინააღმდეგ (მომხრე კომისიის წევრი, კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე, კომისიის წევრი ელისო ასანიძე,

კომისიის წევრი გიორგი ფრუიძე და კომისიის წევრი მერაბ ქათამაძე, წინააღმდეგი კომისიის წევრი კახი ბექაური)

#### გადაწყვეტა:

1. გაუგრძელდეს მოქმედების ვადა სს „სილქნეტის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიას 2016 წლის 5 მაისიდან 10 წლის ვადით შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2299 მჰც ÷ 2350 მჰც უსადენო რადიოდაშვების ქსელით (მრავალარხიანი მრავალწერტილოვანი განაწილების სისტემა) მომსახურებისთვის ქ.თბილისში;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 05.05.2026;

გ) უზრუნველყოს ლიცენზიის მფლობელმა 2299 მჰც ÷ 2350 მჰც რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად;

2. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასური განისაზღვროს - 331,007.21 (სამას ოცდათერთმეტი ათას შვიდი და 21) ლარით.

3. უზრუნველყოს სს „სილქნეტმა“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისთვის, ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 331,007.21 ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა შემდეგი რეკვიზიტებისა და გრაფიკის მიხედვით:

-მიმღები- ხაზინის ერთიანი ანგარიში-ა/ა-N200122900

-ბანკი-სახელმწიფო ხაზინა

-ბანკის კოდი-TRESGE22

-საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი-N300773402

47 291.21 ლარი - 2016 წლის 15 ივნისამდე;

47 286.00 ლარი 2016 წლის 15 ივლისამდე;

47 286.00 ლარი 2016 წლის 15 აგვისტომდე;

47 286.00 ლარი 2016 წლის 15 სექტემბრამდე;

47 286.00 ლარი 2016 წლის 15 ოქტომბრამდე;

47 286.00 ლარი 2016 წლის 15 ნოემბრამდე;

47 286.00 ლარი 2016 წლის 15 დეკემბრამდე;

4. სს „სილქნეტი“ ვალდებულია წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში აღნიშნული თანხის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები კომისიას წარმოუდგინოს გადახდიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

5. ლიცენზიის მფლობელის მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადაუხდელობის შემთხვევაში, კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ძალადაკარგულად გამოცხადებისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F48 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ;

6. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს:

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა (ნ.ლორთქიფანიძე);

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ფინანსთა სამინისტროში გაგზავნის უზრუნველყოფა (მ. ქაღიშივილი);

გ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა (ნ.ლორთქიფანიძე).

დ) აღნიშნული გადაწყვეტილების სს „სილქნეტისთვის“ გაგზავნა (ნ.ჯავახიძე).

7. გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე გამოქვეყნებისთანავე;

8. გადაწყვეტილება (პირველი პუნქტის გარდა) ძალაში შევიდეს სს „სილქნეტისთვის“ მისი დამოწმებული ასლის ჩაბარებისთანავე;

9. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში;

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შესრულებაზე (გარდა ბ) ქვეპუნქტისა) დაევალოს კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს (ს.შავგულიძე);

11. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-3 და მე-4 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს (ი.აბულაძე);

12. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების (პირველი პუნქტის ა) და გ) ქვეპუნქტების, მე-3 და მე-4 პუნქტების გარდა) შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი.ხარებავა).

**კომისიის წევრ კახი ბექაურის განსხვავებული აზრი:** კახი ბექაურმა აღნიშნა, რომ „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების (შემდგომში დადგენილება) მე-10 მუხლის შესაბამისად მოხდა საფასურის გაანგარიშება. ამ დებულებაში მოცემულია დათვლის წესი და არა პრინციპი, ასევე განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა მოხდეს ექსტრაპოლაცია სხვა გეოგრაფიულ არეალზე. რაც შეეხება სამართლებრივ ბაზას, მან აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტის გ) ქვეპუნქტით, რომლის შესაბამისად „თუ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად დანაწილებული რადიოსიხშირული სპექტრის სათანადო ზოლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ბოლო 3 წლის განმავლობაში არ გამართულა 2-ზე მეტი აუქციონი, ლიცენზიის მფლობელი იხდის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად გამართულ ბოლო 3 (ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ბოლო 2) აუქციონზე დაფიქსირებულ საფასურთა საშუალო არითმეტიკულს“. ბოლო 3 წელიწადში 2-ზე მეტი აუქციონი არ არის ჩატარებული 2200-2400 მგჰც სიხშირულ ზოლში, მაგრამ არის ჩატარებული სხვა აუქციონები, რომლის შესაბამისადაც შესაძლებელია საფასურის გამოთვლა. ვინიდან სახეზეა ზემოაღნიშნული პუნქტის შესაბამისი მოცემულობა, ამავე დროს არ შეცვლილა საკანონმდებლო ბაზა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 49 მუხლის მე-5 პუნქტის გ) ქვეპუნქტით.

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

კახი ბექაური

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე